ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 190

ქალაქი ქუთაისი 26 აპრილი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტებზე მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში და 2022 წლის განმავლობაში ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანებების 2023 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტებზე მომსახურების გამწევმა კომპანიებმა, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში და 2022 წლის განმავლობაში ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანება გადაიხადონ 2023 წლის ბოლომდე, ყოველ თვეზე თანაბრად გადანაწილებით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
24 მას. №-3-1--
24 --04----2023წ.